განკარგულება:**g-87. 87241573**
თარიღი:**05/06/2024**

განკარგულება N31

ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის „სოფელ ქისტაურის სპორტ-დარბაზის აღჭურვა სავარჯიშო ინვენტარით“ განსახორციელებლად ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოსგან გრანტის მისაღებად წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 მაისის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. “ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის „სოფელ ქისტაურის სპორტ-დარბაზის აღჭურვა სავარჯიშო ინვენტარით“ განსახორციელებლად საქართველოში ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოსგან გრანტის მისაღებად წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 01 მაისის N22 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულების 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის „სოფელ ქისტაურის სპორტ-დარბაზის აღჭურვა სავარჯიშო ინვენტარით“ განსახორციელებლად ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მიიღოს გრანტი არაუმეტეს 39 569 (ოცდაცხრამეტიათას ხუთას სამოცდაცხრა) ბულგარული ლევის შესაბამისი კურსით ევროში.“.

2. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას და საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.akhmeta.gov.ge, ასევე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თელავი, აღმაშენებლის ქუჩა N41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი